№ 22 31 იანვარი, სამშაბათი 1866—1878 31 იანვარი, სამშაბათი № 22

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲚᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლში, № 8.

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლებში, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ხუთ-ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: ქართულად ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ: თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლებში, № 8).

ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი. *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба.“*

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ½ წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ)

I

ᲤᲝᲗᲘ, 26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ. შავი ზღვის ფლოტის მთავარ კამანდირმა გამოსცა განკარგულება, რომ ᲤᲝᲗᲘᲡ მაიაკის განათება ხელ-ახლად დაიწყონ. ᲘᲡ განკარგულება სისრულეშია მოყვანილი.

II

24 იანვარს, ე. ი. ორი დღის შემდეგ, რაც ხნისში დაბანაკებულ ჩვენი ატრიადის უფროსს მოუვიდა ცნობა ᲨᲣᲨᲘᲡᲐ და ᲕᲐᲜᲘᲡ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ატრიადების უფროსისაგან, რომ დროებით მორიგება არის შეკრული რუსეთსა და ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ შუაო, 300 კაცი ᲭᲣᲠᲗᲘ და ᲩᲔᲩᲜᲔᲑᲘ, მალაზიის თოფებით დაიარაღებულნი, დაეცნენ ᲥᲐᲮᲚᲘᲙᲨᲘ დაბანაკებულს ჩვენს ყაზახრუსებს. თუმცა ბრძოლის ველზე ხარამინიიდამ ნიკეგოროდის პოლკის ესკადრონი მივიდა, მაგრამ ᲭᲣᲠᲗᲔᲑᲛᲐ მაინც არ შესწყვიტეს სროლა. ᲑᲝᲚᲝᲡ ჩვენები იძულებულნი შეიქნენ, რომ სროლა დაეწყოთ; სოფ. ᲢᲔᲠᲜᲘᲓᲐᲛᲓᲔᲜ გაედევნეთ დამარცხებული მტერი. ჩვენის მხრით დრაგუნია დაჭრილი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 28 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ. ხანგრძლივი ბაასის შემდეგ, საზოგადოებათა პალატამ მიანიჭა მმართებლობას უფლება სამხედრო საჭიროებისათვის ხაზინიდამ ფულის დახარჯვისა. 452 დეპუტატში 328 თეთრი კენჭი მოუვიდა სამინისტროს და 124 შავი. ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ მოთაყვანემ: ᲑᲐᲠᲢᲘᲜᲒᲢᲝᲜᲛᲐ სრულებით არ ჩაგდო კენჭი და ᲑᲚᲐᲓᲡᲢᲝᲜᲛᲐ კი შავი კენჭი ჩაუგდო. ᲙᲔᲜᲭᲘᲡ შედეგი ხმაურობით და სიხარულით მიიღო სამინისტროს მომხრე პარტიამ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 28 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ. ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „Times“ ამბობს, რომ რადგან საფრანგეთსაც ისევ ინტერესი აქვს ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ საქმეების გადაწყვეტაში, რაც ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲡ, ამის გამო იმედიაო, რომ ის ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ მხარეს ღაიჭერსო.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ. „რეიტერის საააგენტოს“ აცნობებენ სტამბოლიდამ, რომ, დროებით მორიგების პირობის ძალით, ოსმალოებმა სტამბოლის წინა სიმაგრეებიდამ გაიყვანეს თავის ჯარებიო.

ᲑᲣᲮᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ. სენატსა და პალატაში იყო გუშინ მოლაპარაკება ᲑᲔᲡᲐᲠᲐᲑᲘᲘᲡ ნაწილის რუსეთისათვის დათმობაზე. პალატამ ერთხმად უარი განაცხადა ამ დათმობაზედ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 28 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ. ᲑᲐᲖ. „Morning Post“ ამბობს, რომ საბერძნეთსა და ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ შუა დროებით მორიგება მოხდა იმ პირობით, რომ საბერძნეთის მოთხოვნილება კონფერენციამ განიხილოსო.

ᲑᲣᲨᲘᲜ პარლამენტში მიმავალს ლორდს ᲑᲘᲙᲝᲜᲡᲤᲘᲚᲓᲡ ერთის ამბით და თავის თანაგრძნობის გამოცხადებით მიეგება ქუჩებში ხალხი. ᲑᲚᲐᲓᲡᲢᲝᲜᲘᲡ საგზომში და რუსეთის მომხრე გაზეთის „Daily News“-ის კანტორაში კი ფანჯრები ჩაამტვრიეს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲔᲠᲗᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲗᲐᲒᲐᲜᲘ

ჩვენ ვებეჭდავთ ქვემოთ ᲑᲝᲠᲘᲓᲐᲛ მიღებულს წიგნს, რომელიც ერთი სარწმუნო პირისაგან მოგვივიდა. წაიკითხეთ და სცანით—თუ რა ᲑᲝᲠᲝᲢ-ᲛᲝᲥᲥᲔᲓᲔᲑᲐ ხდება ხოლმე ზოგიერთი პირებისაგან ჩვენს ქვეყანაში. ᲐᲛ გვარი კაცების და იმათი მოქმედების გამოაშკარება, სარგებლობას თუ არა, ენებას არ მოიტანს.

ᲐᲘ ᲔᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ:

„ᲐᲛ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს მაზრაშიაც იყო ყრილობა მილიციონერების აღმორჩევაზედ.

„ᲑᲝᲠᲘᲡ ᲣᲔᲖᲓᲘᲡ ᲣᲞᲠᲐᲕᲚᲔᲜᲘᲘᲡ ᲩᲘᲜᲝᲕᲜᲘᲙᲔᲑᲘ იყვნენ განაწილებულნი აქ თავთავის რაიონებში, რომ მოეხდინათ კენჭის ყრა. სხვა ᲩᲘᲜᲝᲕᲜᲘᲙᲔᲑᲡ თავს ვანებებ, რადგანაც მე ჩემის თვალით არ ვარ მნახველი, რა წესი შეასრულეს და როგორ მოიქცნენ მინდობილს საქმეზედ. მხოლოდ ეიტყვი ერთის პირის მოქმედებაზედ, რომელიც მე ჩემის თვალით ვნახე. ᲐᲘ რა:

„სოფ. მეჯვრისხევში იყო გაგზავნილი პრისტავის თანაშემწე უ.ტ.—Ა.ᲐᲛᲐᲜ მოახკენჭის-ყრა და მილიციონერად გასელა ერგო. ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲡᲐᲕᲔ სოფელში მცხოვრებელს ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲛᲯᲝᲨᲕᲘᲚᲡ, რომელმაც მორთო რიგიანი ტირილი. ᲑᲝᲚᲝᲡ მოციქულათ ჩამოვიდნენ სოფლის სუდია და მამასახლისი, იმოვა ჩვენმა ახალმა მილიციონერმა 60 მანეთი (თევში თუმანი ნახევარ კოდ პურათ და სამი მარხილი შეშაც იმავ ფულის ჩაბარების სალამოს უნდა ჩაებარებინა) და გაატანა ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲡ მოციქულებს უ. Ტ.—Ა—ოვთან რომელმაც მიიღო და ჩაჯიბა იგი; ორი კოკა ღვინოც მოციქულებმა თავიანთ სამოციქულოში წაიღეს...

„შემდგომ ფულების გამორთმევისა, უ. Ტ.—Ა—ოვმა გაანთავისუფლა ᲛᲯᲝᲨᲕᲘᲚᲘ და საზოგადოებას გამოუცხადა, რომ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲛᲯᲝᲨᲕᲘᲚᲘ არ გაიგზავნება, რადგანაც მეორე ძმა ფეხ-ნაკლები ჰყავსო და ხელ-მეორეთ უნდა მოეახდინოთ კენჭის-ყრაო.

„და კიდეც მოახდინა მეორეთ კენჭის-ყრა. ᲑᲐᲡᲐᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘ ეს არის, რომ ეიდრე ფულებს მისცემდა ᲛᲯᲝᲨᲕᲘᲚᲘ, მეორე ძმა ფეხ-მართალი იყო, და როდესაც ფულები მისცა, მაშინ ფეხ-ნაკლები შეიქნა!

„სოფელში ვინც ღონიერათ არიან ცხოვრების მხრით, ესენი ამათ ფულებს აძლევენ, ოლონდ კენჭში ნუ შეგვიყვანთო. ᲘᲡᲔᲜᲘᲪ ᲑᲚᲝᲛᲐ ფულებს იღებენ და ᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲜ მდიდარ ხალხს და ამათი საქმე ისევ საწყალ ღარიბ გლეხკაცებს აწევებათ კისერზედ. ᲐᲡᲔ ᲘᲤᲘᲥᲠᲔᲗ რომ კენჭის აღმორჩევის დროს, ნახევარი სოფელი აღარაკი არიან, და რაც არიან ისინიც საცოდავნი, შიშველ-ტიტველნი, მშივრები, დაქვეითებულნი, მეტის-მეტის სიღარიბისაგან მიწასთან გასწორებულნი, და ისევ ესენი კი მიჰყავთ.

„ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲯᲝᲨᲕᲘᲚᲘ სიხარულისაგან ჰაერში იკარგება, და ამბობს:

„—ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ უშველოს, რა იაფათ შემჯერდა; სხვა რომ ყოფილიყო, არც ოც თუმნათ მომეშვებოდა!“

„ᲔᲠᲗᲛᲐ სარწმუნო პირმა, როდესაც ამაზედ იყო ლაპარაკი, მითხრა:—ᲛᲒ რა არის, უნდა გენახათ სხვა მაზრებში უფრო რასა შვრებოდნენო!...“

ეს ამ გვარი მოქმედება ერთი მრავალთაგანია ჩვენს ქვეყანაში. ყოველის მხრით მოგვდის ჩვენ ამბავი, რომ ყველგან და ყოველთვის, საცა ახერხებენ და ვინც კი ახერხებს, არავინ ზოგავს ჩვენ ხამ, სოფლის ხალხს, ვითომ კანონის ძალით ათას ნაირ უკანონო მოქმედებას სჩადიან, ქრთამს იღებენ, იმ გლეხის ხარჯით ცხოვრებენ, ყოველის მხრით ატყავებენ...

ჩვენი სურვილი და ნატვრა მხოლოთ ეს არის, რომ მთავრობამ ამ ზემო-მოყვანილ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და დანიშნოს ამ უკანასკნელი კენჭის ყრის თაობაზე ფიცხელი გამოძიება. დარწმუნებული ვართ, რომ ბევრი ამისთანა და ამაზე უარესი ბოროტ-მოქმედება გამოჩნდება ფიცხელი გამოძიების წყალობით...

ს. მ.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ᲑᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ, კვირას, ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ, ეგზამენიების შემდეგ, პირველად გამოუშვეს კურს-შესრულებულ ნასწავლი ბებია-ქალები. როგორც გვითხრეს, წელს ამ ფრიად სასარგებლო სასწავლებელში 25 ქალს შეუსრულებია კურსი.

ეს ოც-და-ხუთი ნასწავლი ბებია კავკასიის სხვა-დასხვა გუბერნიის და უეზდის ქალაქებში იქნებიან დანიშნულნი და იმედია, რომ მაშინ მშობიარე ქალებს ისე არ გაუჭირდებათ ხვირიანი ბებიის შოვნა, როგორც ახლა უჭირთ და იძულებულნი არ იქნებიან სოფლის ბებიებსა და ექიმებს მიმართონ.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ ასე უპატრონოთ გარდაცვალებულის შაგირდის ᲥᲣᲗᲐᲗᲔᲚᲐᲫᲘᲡ მამა მისულა ამ დღეებში სასულიერო სემინარიაში და უკითხავს სემინარიის ინსპექტორის უფ. ᲙᲣᲕᲨᲘᲜᲡᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ:

— თუ შეიძლება, მითხარით, უფალო, ვინ სწამლობდა ჩემს შვილს ავათმყოფობის დროს?

უფ. კუვშინსკის ეს კითხვა როგორღაც არ ეჯაშნიკათურმე.. ბაიარ-გამოირა აღელვებულმა ოთახში და პასუხათ უთხრა:..

— ვინ სწამლობდა? ჰმ... ექიმი... ჰმ. იმ დროს ექიმი... არ გვყოლია...

*** ᲐᲛᲐᲡ წინათ ჩვენს ვაზეთში ჰავლაბრისა და რიყის მცხოვრებლების საჩივარი იყო დაბეჭდილი, რომ ჩვენი ქუჩები დაარსებიდამვე არ გაკეთებულა, არ გაწმენდილაო, ისეთი ოღროჩოღროებია, რომ კაცი კისერს მოიტეხს, განსაკუთრებით ღამე, თუ ფრთხილად არ გაიარაო.

ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠᲘᲖᲔ ᲡᲐᲩᲘᲕᲐᲠᲘ ᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲩᲘᲩᲮᲐᲢᲘᲡ ᲣᲑᲜᲔᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲡᲗ, რადგან ამათკენაც ისეთი ტალახიანი, სიბინძურით სავსე ქუჩებია, რომ კაცს გაევლა შეეზიზღება.

აი ეს სიბინძურეა, სხვათა შორის, ბუდე და მიზეზი სხვა-და-სხვა ავათმყოფობისა, რომელიც ასეთნაირად გავრცელებულია ამ ჟამად ჩვენს ქალაქში და რომლის უფრო მომეტებულად გავრცელებას მომავალში მოველით.

რამდენათაც ჩვენ ვიცით, მთელი ქალაქის ქუჩებიდამ მტვრისა, ტალახისა და ყოველგვარი სიბინძურის გადასატანად ქალაქის ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲡ სულ იცოდე პატარა ტაჩკები აქვს გამართული. ᲝᲪᲘ ტაჩკა ამოდენა ქალაქის ქუჩებისათვის, რასაკვირველია, საკმარისი არ არის, განსაკუთრებით თუ იმ გარემოებასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენი სანახევროდ—აზიური ქალაქის მცხოვრებნი არ არიან სისუფთავეს შეჩვეულნი და ყველა გვარ ნაგავს პირ-და-პირ ქუჩებში ჰყრიან ხოლმე...

*** ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ გვწერენ, რომ სამშობლო ენის სწავლა იქაურ გიმნაზიაში ძალიან ცუდათ მიდისო. მასწავლებელს გარდა ამ საქმეში ბრალი, ჩვენი კორრესპონდენტის სიტყვით, იმ გარემოებასაც მიეწერება, რომ ქართული ენის გაკვეთილებისათვის მეექვსე საათი არის დანიშნული და ხუთის საათის სწავლის შემდეგ გარეტიანებული, დაქანცული და დამშეული მოწაფეები ვერაფერს ვერ სწავლობენ ქართულის ენიდამ. მასწავლებელიც თითქო განგებ ისეთი ჰყავთ, რომელიც სამშობლო ენის შეყვარების მაგიერ სრულს გულ-გრილობას და თითქმის სიძულვილსაც ნერგავს შეგირდშიო...

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ უფ. Ზ. ᲯᲘᲜᲐᲫᲔ აპირებს შედგენას და ცალკე წიგნად დაბეჭდვას იმ ქართული ძველი წიგნების სიისას (კატალოგისას), რომელნიც ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ სადმე მოიპოვებიან.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲖᲐᲥᲐᲗᲐᲚᲐ, 22 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ. როგორც სჩანს სხვა-და-სხვა გაზეთებიდამ, სხვა ქალაქების მიხედვით, ჩვენს ზაქათალაში არ არის ძვირობა; მაგრამ მაინც კიდევ უნდა მივაწეროთ ძვირობას, ამიტომ რომ მთელ ზაქათალის მაზრის სოფლებში არიან დაფანტულნი ვაჭრები ᲐᲥᲣᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ (ზოკები) გადმოსულნი და ვაჭრობენ ყოველს სოფელში, ესე რომ რაც მოზდით ზაქათალის მაზრის სოფლების ხალხს, სულ ისინი ყიდულობენ და გზავნიან ზაქათალაში და სხვა-და-სხვა ქალაქებში და ჰყიდიან ერთი-ორათა და ოთხათაც; ერთი სიტყვით არ უშვებენ საწყალ ადგილობრივ მცხოვრებს, რომ თითონ გაყიდონ თავიანთი შრომით და ოფლით მონაგარი და მოპოვნილი საქონელი ანუ მოსავალი.

ერთი ძვრიელ კარგი განკარგულება მოახდინა ზაქათალის მაზრის უფროსმა. ᲣᲡᲐᲠᲐᲤᲘᲛᲝᲕᲘᲩᲛᲐ: დადიან დესეტნიკები და უცხადებენ ყოველს აქაურს ვაჭარს კაცს, რომ არ შეიძლოთ ყიდვა სოფლებიდამ მომტანის ხალხიდან ვიდრე შუადღემდე, შემდეგ კი იყიდონ.

მაგრამ აქაური ვაჭარი ხალხი ისეთი არის, რომ რკინის სალტა მოუჭიროთ თავზედ, მაინც ვერას შეაგნებინებენ: შანამ პოლიცია დადის, მინამ ვერასა ბედავენ და როგორც ერთს მინუტს მოსცილდებათ, მაშინვე ქორივით ეცემიან მომტანს ხალხს და სტაცებენ ხელიდან: ერბოს, კვერცხს, ქათამს, ხილეულს, ზოხობს, შროშანს, ხოხბებს და ფოშტიო ყუთებით გზავნიან ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ და აქ კი შოვნა არ არის. ᲐᲛᲐᲡ წინათ აქაურმა ვაჭარმა ᲜᲣᲑᲐᲠᲝᲕᲛᲐ გაგზავნა ოცი ყუთი შოშია ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ და აგრეთვე ამისთანა ები ძვიელ ბევრნი არიან ვაჭარი ხალხი, რომლებიც აგროვებენ ამნაირს რასმეებს და გზავნიან სხვა-და-სხვა ქალაქებ ში. თუმცა ძვიელ ცდილობს აქაური პოლიცია, მაგრამ ვერა გაუწყვია-რა, რადგანაც აქაური ვაჭრები ერთის ქვეყნიდგან არ არიან მოსულნი და სხვა-და-სხვა ქვეყნებიდან არიან: ᲑᲐᲜᲯᲘᲓᲐᲜ, ᲨᲣᲨᲘᲓᲐᲜ, ᲜᲣᲮᲘᲓᲐᲜ, ᲐᲥᲣᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ, ᲡᲘᲚᲜᲐᲚᲘᲓᲐᲜ, ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲓᲐᲜ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲓᲐᲜ და ᲑᲝᲠᲘᲓᲐᲜᲐᲪ. ᲐᲑᲐ ამ ხალხს რა გასტეხავს?

ᲛᲔᲠᲗᲘ სიტყვით ამ აქაურს ათას საცრის მჭამლებს ვაჭრებს არა ეშველებათრა, თუ ამნაირათ არ მოიქცა პოლიცია:

ᲥᲐᲚᲐᲥ ᲖᲐᲥᲐᲗᲐᲚᲐᲡ აქვს სამი შემოსავალი კარებები, რომლებიდგანაც აქაურს სოფლელებს მოაქვთ სავაჭრო ზოგი რადა ზოგი რა. პოლიციამ რომ დააყენოს სამი კაცი თითოს კარებთან რამტენსამე ხანს, რომ მომტანმა ხალხმა არ ატარონ ბაზარ-ბაზარ თავიანთი სავაჭრო რაც აქვთ იმათა, ჰქონდეთ დანიშნული ალაგი, საცა მომტანმა სოფლელებმა მიიტანონ თავიანთი გასასყიდი სავაჭრო იქა და აქ გაყიდონ ხოლმე შუადღემდინ; მოვაჭრე ხალხს არა ჰქონდეს ნება ყიდვისა და შემდეგ კი იყიდონ.

მაშინ მომტანს ხალხსაც ექნება სარგებლობა და მყიდველ აქაურს მცხოვრებლებსაც; თორე თუ ისე წავიდა, როგორც ეხლა ვხედავ, ასეთ გაჭირვებას რომ სიძვირისა გამო ცხოვრება არ შეიძლება ამ ᲖᲐᲥᲐᲗᲐᲚᲐᲨᲘ. სხვათა შორის ასე დაგვიძვირდა ხურდა ფული, რომ ერთ მანათის ქაღალდს რომ ვგზავნით ბაზარში სასყიდლათ, ოცი აბაზისა რომ ვიყიდოთ, კიდევ რავდენსამე კოპეიკს მეტს გვართმევენ დასახურდებლად.

ᲐᲥᲐᲣᲠᲘᲡ სამსახურის ხალხშიაც როგორღაც არეულ-დარეულობა არის: ძრახვა საშინელი, ᲒᲝᲠᲕᲐ, ᲫᲐᲒᲔᲑᲐ და ცუდათ მოხსენიება ერთი-ერთმანეთისა. მაგრამ არ არის გასაკვირველი, ქართული ანდაზა არის: „ᲣᲠᲘᲐᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲠᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲝ ᲓᲐ ᲥᲣᲓᲨᲘ ᲛᲐᲮᲐᲗᲘᲡ ᲘᲧᲠᲘᲓᲐᲝ.“ ᲐᲔᲔ მოზდის აქაურს მოსამსახურე ხალხსაცა.

ᲖᲐᲥᲐᲗᲐᲚᲔᲚᲘ

ომის ამბები

შერიგების თაობაზე

ბერლინიდამ მოსული ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ საფრანგეთის მმართებლობამ შეატყობინა ბერმანიასაო, რომ აღმოსავლეთის კითხვის შესახებ ის ისე მოიქცევა, როგორც მოიქცევა ბერმანიაო. „მაგრამ ამ დარწმუნებას აქ დიდ მნიშვნელობას არ აძლევენო, რადგან, თუ ევროპის სახელმწიფოებს შუა ბრძოლა მოხდა, საფრანგეთი, იტალია, ავსტრო-ვენგრია და ინგლისი, უეჭველია, ერთად იქნებიანო.“

— „მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია 21 იანვარს ბუხარესტიდამ მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ რუსის ჯარები არ დაიჭერენ ბალიპოლს, რადგან დროებით მორიგების პირობაში ამის შესახებ ცალკე მუხლი არისო.

— ფრანცუზულს გაზეთს „Temps“-ში მოყვანილია შემდეგი დეპეშა 17 იანვარს ვენიდამ მიღებული:

„რუსეთსა და ოსმალეთს შუა დროებით შერიგებით პირობის ძალით, რუსეთს მინიჭებული აქვს უფლება, რომ ერთი ნაწილი თავის არმიისა შეიყვანოს სტამბოლში, გაატაროს ეს ჯარები სტამბოლის იმ უბნებში, საცა მაჰმადიანები ცხოვრებენ, შემდეგ ჩასვას სერალთან ხომალდებში და ისევ უკან დააბრუნოს.

— ვენის გაზეთის „Presse“-ის სიტყვით, რუსეთს განზრახვა აქვს, რომ სამი წლის განმავლობაში დააყენოს თავის ჯარები ბოლგარიაში, ე. ი. სანამ თავის თვალით არ ნახავსო, რომ ოსმალეთის მმართებლობამ შემოიღო ამ ქვეყანაში ის რეფორმები, რომელსაც პირდება. ავსტრია ამ განზრახვის წინააღმდეგი არისო.

ბამბეტტას გაზეთს „Republique Française“-ში დაბეჭდილია შემდეგი სტრიქონები:

„ახლოთ ერთი საგანი შეიძლება გადაწყდეს რუსეთსა და ოსმალეთს შუა, ევროპის სახელმწიფოების დაუკითხავად: ეს საგანი არის ოსმალეთისაგან ომის ხარჯის გადახდა; ყველა დანარჩენი საგნები შერიგებისა შეეხება ყველა იმ სახელმწიფოებს, რომელთაც 1856 წლის პარიჟის ტრაქტატზე მოაწერეს ხელი და რომელთაც რუსეთმა უნდა სთხოვოს ამ ტრაქტატის დარღვევა ანუ შეცვლა.“

—

თითქმის ამ გვარსავე ჰაზრს აცხადებს პარიჟის მეორე გაზეთიც „Journal des Debats“ რომელიც თავის მოწინავე სტატიაში, სხვათა შორის, ამბობს:

„შერიგების ყველა გვარი პირობების გადაწყვეტა იმ კონფერენციაზედ უნდა იყოს დამოკიდებული, რომელიც 1856 წლის პარიჟის ტრაქტატის გადასახედავათ უნდა შესდგეს. ამბობენ, რომ ამ კონფერენციის შედგენის წინააღმდეგი ამ ჟამად მხოლოთ თ. ბისმარკი არის და ეს აბრკოლებს საქმესაო.“

აზიის ბრძოლის ველიდამ

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა, რომელიც ამ გაზეთს 22 იანვარს მიუღია ყარსიდამ:

„ქორპუსის კამანდირს ღენ.-ადიუტ. ლორის-მელიქოვს მინდობილი აქვ-დროებით მორიგების შეკვრა და ჯარეს ბის დასაყენებელი ადგილების გასამზღვრა.

„ღღეს პოლკოვნიკი თ. თარხანოვი გაგზავნეს არზრუმში დროებით მორიგების შესახებ მოლაპარაკების დაწყებისათვის. ფოჩტა და ტელეგრაფი არზრუმაჰდინ მიდის.“

—

„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტო“ შემდეგ ამბავს გვაცნობებს არზრუმის მდგომარეობაზედ:

„არზრუმის მდგომარეობა, როგორც ისმის, საშინელია. მუდამ ღღე 200 კაცამდინ სახადით და სხვა ავათმყოფობით იხოცება თურმე. არა აქვთ არც საკმაო საჭმელ-სასმელი, არც შეშა და არც თბილი ტანისამოსი.

—

გაზეთს „Times“-ში 3 იანვარს იწერებიან არზრუმიდამ:

„23 დეკემბრიდამ დაწყებული არზრუმი სრულიად გარშემორტყმულია რუსებისაგან. ისინი არიან აქ 25,000 კაცი და უჭერავთ 40 ვერსი ალაგი არზრუმის გარშემო. ღენ.-მაიორი ლორის-მელიქოვი ამ ჟამად სოფ. ილიჯიშია თავის ჯარებით. ღენ. ბეიმანი კი არზრუმის ბარში დგას დევე-ბოინის ქვემო სოფლებში.

„მართალია, ჩვენს ქალაქში ხშირი ავათმყოფობა არის და ბევრი იხოცებიან, მაგრამ, როგორც ისმის, რუსებიც ძალიან ბევრი ამოწყვეტილა ავათმყოფობისა და სიცივისაგან.“

—

ვენის გაზეთს „Presse“-ში იწერებიან არზრუმიდამ:

„არზრუმის გარნიზონის უფროსმა იზმაილ-ფაშამ ამხნევებს აქაურ მცხოვრებლებს; იმან გამოუცხადა დიარბეკირის, მუშადისა და ბათლის მცხოვრებლებს, რომ თუ მხნეობა და მოთმინება არ გამოგვეღ ევა, ლმერთი მოწყალეა, ჩვენი საქმე ჯერ საბოლოოთ არ წამხდარაო.

„არზრუმში და იმის ახლო-მახლო სოფლებში 10,000 ავათმყოფი წევს. ექიმებისა და წამლების ნაკლულობა გვაწუხებს.

„დიარბეკირში ახალი ჯარები [illegible] მოგროვილი და ზოგსაც [illegible] ბენ. ყაზი-მაჰომა, შამილის შვილი, რამდენიმე სხვა ფაშა და სამასამდინ აფიცერი ღამით გაიპარენ არზრუმიდამ და რუსებისაგან შეუნიშნავნი მივიდნენ დიასბეკირში.

„თუ ომი გაგრძელდა კიდეე, იზმაილ-ფაშა, არზრუმის დამორჩილების შემდეგაც, მოახერხებს აქეთკენ რუსების შეჩერებას.“

ევროპის ბრძოლის ველიდამ

სტამბოლიდამ მოსული დეპეშები გვაცნობებენ, რომ რუსის ჯარები ერთის ღღის სავალზე დგანან ამ ჟამად სტამბოლიდამაო.

—

ფრანცუზულს გაზეთს „La France“-ში იწერებიან, რომ სტამბოლის მოწინავე ციხეები—ჩატალჯისა ისეთ ნაირად არიან გამაგრებულნი, რომ, თუ ბრძოლა ხელ-ახლად ატყდა, რუსის ჯარს იმათი აღება ადვილად არ შეუძლიანო.

—

ლონდონის გაზეთი „Times“ შემდეგ ამბავს ჰბეჭდავს:

„ჩვენ მივიღეთ სტამბოლიდამ ცნობა რომ 21 იანვარს რუსის ჯარები ბურგოსში და ჩორლუში მისულან, ე. ი. სამოც ვერსზედ სტამბოლიდამ; ამას გარდა ღენ, ბურკოს კორპუსის მოწინავე ჯარს დაუჭერია ადრიანოპოლიდამ სტამბოლს შიმავალი რკინის გზა და მკის ზღვისაკენ იწევენო. ბალიპოლისაკენ კი რუსები ალარ მიდიან.“

—

„ამავე საგნის შესახებ ბელგიურს გაზეთს „Indépendance Belge“-ს მოსულია შემდეგი დეპეშა სტამბოლიდამ:

„16 იანვარს სალამოს რუსების ჯარებმა დაიჭირეს ჩორლუ, როდესტო და ლელე-ბურგასი; ამათ პირ-და-პირ დგას მეჰმედ-ალი-ფაშა, რომელსაც 24,000 ნიზამის ჯარი ჰყავს და რომლის ამხანაგად დანიშნულია მუხთარ-ფაშა. მეორე მხრით სტამბოლის წინ და ამ ქალაქის დასაცველად დანიშნულია სულეიმან ფაშა, რომელიც რუსების დახვედრას ემზადება, თუ ამ ღღეებში დროებით მორიგება არ მოხდა.“

უცხო ქვეყნები

ინგლისი

დიდი მოძრაობა, შესანიშნავი ღელვა არის ამჟამად ინგლისში ხალხისა; ერთი ნაწილი ერისა ამტკიცებს, რომ ოსმალეთის დამცირება თვით ინგლისის დამცირება და შეურაცხყოფა არისო და რუსეთს ომი გამოუცხადოთო. მეორე ნაწილი ამავე ხალხისა კი ამის წინააღმდეგს ქადაგებს: ოსმალეთთან ჩვენ ისეთი კავში-

რი არა გვაქვს, რომ იმისთვის ამ ბრძოლაში გაეერიოთ და სისხლი დაღვაროთო, ოსმალები ბარბაროსები არიან, ისინი განდევნილნი უნდა იქმნენ ევროპიდამაო და სხვ. და სხვ.

ᲛᲠᲗᲐᲛᲐᲠᲢᲘᲐᲡ, რასაკვირველია, თავის წარმომადგენელნი ჰყავს ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ პარლამენტში; პირველი პარტია მმართებლობის ანუ ლორდ ბიკონსფილდის პარტია არის; ის თხოულობს, რომ პარლამენტმა მმართებლობას უფლება მისცეს ომისათვის მოსამზადებლად ფულების დახარჯვისა; მეორე—ᲒᲚᲐᲓᲡᲢᲝᲜᲘᲡ—წინააღმდეგია ამ მოთხოვნილებისა.

ᲓᲦᲔᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲡ გაზეთში დაბეჭდილის დეპეშებიდამ თქვენ შეიტყობთ, რომ მმართებლობის პარტიას გაუმარჯვენია თავის მოწინააღმდეგეზედ და პარლამენტს მრავალ ხმის უმეტესობით მიუნიჭებია იმისთვის საჭიროო ფულების მოხმარება ომიანობის საჭიროებისათვის.

ᲔᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲠᲘᲡ გადაწყვეტილებაა ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ პარლამენტისა; მაგრამ ამ საგანზე და საზოგადოთ იმაზე—თუ რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ პოლიტიკა და განსაკუთრებით ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ და რუსეთის ერთმანეთის განწყობილება,—ამაზე შემდეგ ნომერში მოვილაპარაკებთ.

— „ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲨᲘ“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა 21 იანვარს ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲓᲐᲛ მიღებული:

„დღეს დილით, ხანგრძლივი ბაასის შემდეგ, საზოგადოებათა პალატამ სამინისტროს მიანიჭა უფლება, რომ ომიანობის საჭიროებისათვის სახელმწიფო ხაზინიდამ 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი (80 მილიონ მანეთამდინ) დახარჯოს. მთელს ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ მოძრაობაა ომიანობის სასარგებლოდ.“

— „ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲝᲨᲘ“ მოყვანილია შემდეგი დეპეშა აგრეთვე ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲓᲐᲛ 21 იანვარს მიღებული:

„ᲑᲣᲨᲘᲜ დილით, ᲚᲝᲠᲓ ᲑᲘᲙᲝᲜᲡᲤᲘᲚᲓᲡ წარუდგინეს ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ცხრა ასი წარჩინებული ვაჭრისაგან ხელმოწერილი ადრესი, რომელშიაც გამოცხადებული იყო, რომ ისინი სრულიად თანაუგრძნობენ უცხო ქვეყნის შესახებ ახლანდელი სამინისტროს პოლიტიკასა. ᲐᲛ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲡ თაობაზე დღეს ᲚᲝᲠᲓ ᲑᲘᲙᲝᲜᲡᲤᲘᲚᲓᲛᲐ მისწერა ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲚᲝᲠᲓ-მერს (ქალაქის თავს) წიგნი, რომელშიაც შემდეგი სიტყვებია მოყვანილია:

„ᲐᲛ გვარი თქვენი ჰაზრი და თანაგრძნობის გამოცხადება შესახებ უცხო ქვეყნის პოლიტიკისა კიდევ უფრო ამხნევებს სამინისტროს. ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ იყავით, რომ ეს სამინისტრო ,ეცდება დაიცვას სახელი და პატივი ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲐ, დამყაროს, თუ შესაძლებელი იქნება, მშვიდობიანობა, და ყოველს შემთხვევაში კი დაიცვას თავის ქვეყნის ინტერესები (სარგებლობა).“

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲔᲭᲘᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲘ ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ᲪᲐᲚᲙᲔ ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲛᲐᲬᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ.

ᲥᲐᲚᲘᲡ ᲐᲕᲐᲗᲕᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ:

ᲧᲝᲕᲔᲚ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-დინ—დოქტორი ᲠᲬᲐᲜᲝᲕᲘ.

ᲠᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗᲐ და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი ᲠᲔᲛᲔᲠᲢᲘ.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ და შაბათობით 11-დამ 12 მდინ—დოქტორი ᲐᲚᲑᲐᲜᲣᲡᲘ.

ᲡᲐᲣᲛᲐᲬᲕᲘᲚᲝ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ:

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ 11 საათიდამ 12-მდინ და ᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ 10-დამ 11-მდი—დოქტორი ᲨᲐᲙᲝᲕᲘ.

ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, ᲐᲚᲑᲐᲜᲣᲡᲘᲡ და ᲠᲬᲐᲜᲝᲕᲘᲡ.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲗᲐᲜ ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობებს — ეკურჩენენ. ᲐᲛ განყოფილების საზოგადო ოთახში ავადმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკოთახებში კი დღეში— 1 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ისყიდება სრულიად საღი ᲭᲘᲘᲡ ᲗᲔᲡᲚᲘ, ყვითელი, ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲯᲘᲜᲘᲡᲐ; სულ გასასყიდლად არის 14 გირვანქა, და ისყიდება ᲛᲘᲡᲮᲐᲚᲘ ᲔᲛᲕᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ გაგზავნით საიდამაც კი მოითხოვენ ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲐᲨᲘ. ᲔᲠᲗᲡ პირს 10—50 მისხალზე.

ᲕᲘᲡᲐᲪ ამ აბრეშუმის თესლის შეძენა ჰსურს, უნდა მიმართოს ხსენებულს საზოგადოებას მიმავალ მარტის პირველ რიცხვამდინ, თან უნდა გამოგზავნოს ფული და თავის დაწერილებული ადრესი.

ᲔᲡ თესლი მოტანილია მილანიდამ 1876 წელს ᲡᲣᲤ. ᲖᲔᲘᲓᲚᲘᲪᲘᲡᲐᲒᲐᲜ და 1877 წელს ᲤᲝᲜ-ᲑᲐᲮᲘᲡᲐᲒᲐᲜ გაზდილის ᲭᲘᲘᲡᲐ არის, რომელიც ჩინებულად მოშენდა ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ მახლობლად და ავათმყოფი ᲭᲘᲔᲑᲘ სრულიად არ ყოფილა. 15 მისხლის თესლიდამ ᲤᲝᲜ-ᲑᲐᲮᲛᲐ გააკეთა სამი ფუთი და ნახევარი პარკები, რომლისგან გამოვიდა 15 გირვანქა თესლი.

ᲐᲛ თესლის პარკები საზოგადოების მუზეუმში არის საქეყნოდ გამოფენილი.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘ

შეგროვილი და გამოცემული

ᲖᲐᲥ. ᲭᲘᲥᲘᲜᲐᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲬᲘ�გᲜᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ.

ᲤᲐᲡᲘ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ᲑᲝᲠᲘ . .	11	58	9	43	2	40	1	33
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ . .	1	29	11	57	3	92	2	18
ᲡᲣᲠᲐᲛᲘ. . .	1	44			4	42	2	46
ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲐ .	5	49			5	81	3	23
ᲠᲘᲝᲜᲘ. . .	6	47			6	75	3	75
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ.	7	41			7	73	4	29
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ.	—	—			8	57	4	76
ᲨᲝᲗᲘ. . .	9	40			9	75	5	42
ᲨᲝᲗᲘ . .	9	13						
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ.	—	—			1	18	-	66
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ.	11	16			2	6	1	14
ᲠᲘᲝᲜᲘ . .	12	13			3	4	1	69
ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲐ. .	1	18	ღამე		3	98	2	21
ᲡᲣᲠᲐᲛᲘ. .	5	12	1	10	5	33	2	96
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ . .	5	39	1	37	5	84	3	24
ᲑᲝᲠᲘ . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ .	9	31	7	56	9	75	5	42

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

	მ.	კაპ
ᲠᲣᲪᲘ სიტყვა ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ:		
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲤᲝᲗᲡ . .	1	—
ᲑᲝᲠᲡ, ᲓᲣᲨᲔᲗᲡ, ᲡᲘᲚᲜᲐᲚᲡ	-	50
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲡ, ᲠᲐᲓᲔᲡᲐᲡ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ	2	—
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲡ, ᲞᲐᲠᲨᲐᲕᲐᲡ . .	2	—
ᲠᲣᲛᲜᲔᲗᲨᲘ, ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ	3	—
ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ და ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ.	3	50
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ.	3	75

ᲤᲝᲣᲨᲢᲐ

ა) ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ: ᲡᲐᲛᲖᲦᲕᲐᲠ გარეთ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ, ᲠᲣᲡᲔᲗᲡ—ᲧᲝᲕᲔᲚ დღე კვირას გარდა. ᲖᲣᲒᲓ. ᲝᲠᲨ. და ᲡᲐᲛᲨ. ᲠᲖᲣᲠ.—ᲞᲐᲠᲐᲡᲙ. და ᲝᲠᲨ. ᲥᲐᲮᲔᲗᲡ—ᲡᲐᲛᲨ. და ᲨᲐᲑ. ბ) ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ: ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ და ᲨᲝᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ—ᲧᲝᲕᲔᲚ დღე, კვირას გარდა. ᲠᲖᲣᲠᲒᲔᲗᲡ—ᲝᲠᲨ. და ᲞᲐᲠᲐᲡᲙ.

ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲒᲐ�გᲖᲐᲕᲜᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ და ᲡᲐᲛᲖᲦᲕᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗ:	კაპ.
ᲚᲘᲐ ᲬᲘᲗᲜᲘᲡ	4
ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ (სამი მისხალი) .	8

ᲑᲘᲠᲭᲐ

	მან.	კაპ
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ.		
ᲔᲠᲗᲘ ᲭᲐᲜᲔᲗᲘ ᲚᲘᲠᲘᲡ:		
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ 23 ᲭᲐᲜᲡᲘ.	—	78
ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ 263 ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲘ.	—	62
ᲛᲡᲙᲝᲜᲢᲘ (ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡᲤᲐᲡᲘ)	7½	—
ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ 5%	96	50
ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ (ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲘᲡ Ხ.	238	25
ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ (ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲡ)	233	50
ᲑᲘᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ:		
ᲗᲤᲘᲚ. ᲡᲐᲐᲖᲜ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ.	—	—
ᲮᲔᲠᲡᲝᲜᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘ	83	25
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ . .	83	50
ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ:		
ᲠᲐᲓᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ	177	—
ᲗᲤᲘᲚ-ᲗᲤᲘᲚ. რკინ. გზის	—	—
ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲪᲘᲪᲮ. ᲒᲐᲛᲔᲑᲘᲡ	527	—
ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ და ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘᲡ. .	225	—
ᲞᲘᲠᲕ. ᲡᲐᲖᲦᲕᲘᲡ. ᲡᲐᲖ.	745	50
ᲞᲔᲢᲔᲠᲑ. ᲡᲐᲖᲦᲕᲘᲡ. ᲡᲐᲖ.	235	50
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲘᲡ. ᲡᲐᲖ.	268	—

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

	მან	კაპ
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 30 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ:		
ᲨᲕᲔ. თეთ. ᲑᲐᲜᲯᲘᲡ, ᲤᲣᲗ.	2	15
ᲨᲕᲔᲘᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ . .	1	80
ᲭᲔᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ . . .	1	55
ᲑᲐᲛᲑᲐ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ .	8	20
—ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ . .	8	40
ᲑᲐᲠᲔᲜᲢᲘᲚᲘ ᲑᲐᲛᲑᲐ ᲤᲣᲗᲘ.	12	—
ᲛᲐᲢᲚᲘ ᲗᲣᲨᲣᲠᲘ ᲤᲣᲗ.	8	20
—ᲗᲐᲠᲐᲥᲐᲛᲘᲡᲐ ᲤᲣᲗ. .	4	80
ᲐᲑᲠᲐᲛᲣᲨᲘ ᲜᲣᲮᲣᲠᲘ ᲡᲢ.	2	—
ᲭᲝᲜᲘ, ᲤᲣᲗᲘ. . .	6	—
ᲭᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ.	8	—
ᲡᲢᲔᲤᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ, ᲤᲣ.	14	30
ᲮᲝᲩᲘ ᲫᲝᲠᲑᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢ.	—	90
—ᲪᲮᲠᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢᲠᲐ. .	—	90
ᲡᲞᲘᲠᲢᲘ, ᲒᲠᲐᲓᲣᲡᲘ .	—	15
ᲨᲐᲥᲐᲠᲘ, ᲑᲠᲝᲩ. ᲤᲣᲗᲘ .	8	80
—ᲤᲮᲕᲜᲘᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ . .	8	—
ᲣᲐᲕᲐ ᲒᲠᲐᲕᲐᲚᲘ, ᲒᲘᲠᲕ. .	—	80
ᲖᲔᲗᲘ ᲭᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡᲘᲡ ᲤᲣᲗ.	14	—
ᲠᲭᲠᲝ ½ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘ. .	8	10

Дозволено цензурою Тифлисъ, 30 Января 1878 г. Типографія Меликова. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.